



საქართველოს  
საბჭოთაო  
ბიბლიოთეკა



**ნიკოლოზ ბაკათაშვილი** (1816 წ. 22 გორგ).  
დაბადებიდან ასი წლის უნსრულევის გამო.  
ახლად ნაპოვნი სურათი—ნახატი მ. თუმანიშვილისა მგონია სკოცხლემში.

### თ. ნიკოლოზ ბაკათაშვილზე

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის  
ეს განწირული სულის კვეთება  
და გზა უვალი, შენგან თელილი,  
მერანო ჩემო, მაინც დარჩება“.

ნ. ბარათაშვილი.

ქაბუკ-პოეტო! უღვთო იყო შენი სიკვდილი.  
ვინ უწყს, რაოდენ საუნჯენი დავმარხეთ ჩვენა,  
ვგ მტკიცე გული სიყვარულის სხივ ქვეშ გაშლილი  
რაოდენ გრძნობით, ჯერ უთქმელით, ჩვენ ჩაგვესვენა?  
ვინ იცის, თანა რაოდენი წარიღე ფიქრნი?  
მათ მნიშვნელობა დავგეკარგა ჩვენ საუკუნოდ;  
რაოდენ იმედთ და ნუგეშთა კოკრად ყვავილნი  
ჩაჰკენენ შენს გულში განუშლელად, აგრე უდროოდ?  
არა დიდ-მამა—შენ სიკვდილით დაობლდა ვრი!..  
ვინდა მოგვითხრას ჩვენი გრძნობა, ტანჯვა და ლხენა?  
მაგრამ, პოეტო საყვარელო, ხარ ბედნიერი,  
რომ შენი ლექსი თვით სიკვდილში გაცოცხლებს შენა.

ილია ჭავჭავაძე.

როს წარვიკითხე მისი ლექსები,  
ვერარა ვსთქვი რა განცვიფრებულმა,  
ვით ქარიშხალით ატეხილ ბუქმა  
ცას განუბნისო შავი ღრუბლები,  
ისე იდარა ჩემ მწუხარ შუბლმა!

ხალხო ობოლო, შენ მებრალები  
რომ დავაობლა მის ციურ შუქმა  
და განგვაშორა თვისი სხივები!  
როს წარვიკითხე მისი ლექსები,  
აღმოვიკენესე დაობლებულმა!

ილია ჭავჭავაძე.

### საუპარკოს ნიკო-გმოსანს

რაც შენ გიყვარდა,—მეც შემაყვარე,  
შენს ჰანგზე სიმნი შემარხვენიე  
და ქართლის ბედზე ცრემლი მდულარე  
გულით დაკოდის დამაფრქვენიე.

ვნახე მთაწმინდა პირმგლოვიარე,  
ვნახე აჩრდილი ნაცრისფრად მკრთალი;  
ქსნის ხეობისკენ გადავიარე,  
იქ კვლავ მოსთქვამდა ქეთევან ქალი.—

მოსთქვამდა არა მიჯნურის ღალატს,  
ავ-ენით გრძნობის ცვალებადობას;  
თურმე მოეკლა მგოსანი ჯალათს,  
თურმე სცდილობდნენ ქართლის დამხობას!

აჰა, დიმიტრი თავდადებული!  
აჰა, ილია წარბშეუხრელი!  
დღეს მათს სისხლშია ამოვლებული  
ჩვენი დიდება, ჩვენი სახელი!

აწ გლოვის ნეშტი შენი ტაძარი  
მარტო სდგას ისევ, არ ისმის ლოცვა...  
ბოროტი სული ჰკივის საზარი:  
ქართველს ჰმართებსო სისხლი და ხოცვა!..

სულს შეწუხებულს, სულს დანაღვლებულს,  
იმედს გაქელილს მზაკვრულის ხელით  
შენს ხანჯალს ვაწვდი გაალმასებულს  
და თან ვუყვი: სანატრელს ველით!

იქნებ მოვაკლდით ჩვენს ტანჯულს მამულს,  
იქნებ სატრფომაც ვერ დაგვიტროს,  
მაინც მიყვებით ჩვენს მიზანს აღთქმულს...  
ვაშა, ქართლისთვის ვინც განიწიროს!

მოგვიც, მგოსანო, შენი მერანი!  
ავვიგზუნე ფიქრი შაიად მღელვარი!  
გერას დაგვიკოიბს შავი ყორონი...  
მტერი გამოჩნდა?—მიჰყევს მდეგარი!

შენს ტაძარს ხალხი კვლავ ააშენებს,  
ხმა იღუმალი ვეღარ შეგვხარავს;  
იმედის დროშა კვლავ დაამშენებს  
ერეკლე მეფის სამეფო კარავს!..

სანდრო შანშიაშვილი.



ნ. ბარათაშვილის პირველი სატრფო, საგვგრაფო უკანასკნელი დედოფალი მკათარიძე მგოსან ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული (ქართულ მუზეუმიდან)

### ელენს და მაროს

მე რად მაყვედრით ფედოროვს, თქვენვე მოგხვდებათ სიძედა,  
არც იმაზედ ხართ უმცროსი, რაღას დასცინით ხანზედა;  
თუნდა კნინა სოფიოს ჰკითხეთ—რამდენის წლისა ხართ.  
მაგას რომ ქმარი შეურთავს, დაბადებული ყოფილხართ)  
თოარემ მეც გატყობთ სიბერეს, წელიწადებსა ნუ იკლებთ;  
გაგთერთებიათ თმებიცა, ტყუილად ზეთებს აბრალებთ;  
პაპუნაშვილი თქვენი ყმა თქვენი ლალაცა ყოფილა,  
იმისი თქმითა, მარიამ ოცდაათისა ყოფილა!

თ. ნ. ბარათაშვილი.

1.

### მ ი ხ ე ი ლ ს

ლექსი თქვენი გვებოძა დიდად არეულია,  
აჭანკასგან შეთხზული თქვენი საკადრისია  
ჩვენ არ გვშენის მაგვარი სიბერისა თქმანია,  
ხანი თქვენც არ გაკლიათ,თუნდ გაქაჯრდნენ ვარშაველნი ქალნია.

2.

### ტ ა ტ ო ს

პალატაში ჯდომითა ხანი მოგმატებია,  
ფედოროვის ყურებით სიგდა გაგზირებია,  
სათვალეცა თქვენ, გშენისთ, ყავარჯენიც ხელშია,  
ჩვენ არ ვწუხვართ ამ ხანსა, ვაი თქვენი ბრალია.

3.

ამ ალბომში ოდროჩოლოვებია,  
ამ თქვენ სატრფოთ აზრი შემოჰკლებიათ;  
ამის მთქმელი უნდა იყვეს ქალუა და მათეა,  
საყვარელი მათი იყვეს გადუა და თაფუა.

4.

თქვენ ვერ გადრებთ ამგვარ შეთხზულებასა,  
რადგან ჩემობთ ვარშავის ფრანტობასა;  
დავანებოთ ეს ლექსები ჩვენსა პოეტ ტატოსა;  
მისი შემწე აჭანასე იქნება!\*)

მარიამ ფალაგანდოვისა.

\*) იხ. გაზეთში დ. გ. კარიკაშვილის წერილი.

### თ. ნიკოლოზ ბარათაშვილს

მრავალის წლისა დამიწებულს შენს წმინდა გვამსა  
და შენს სამარეს დღეს ეხება ქართველის ხელი;  
მოგაშორებენ შენთვის უცხო ბნელსა სავანსა  
და განგინათლებს წმინდა ცხედარს ცისა ნათელი.

დღეს დაუტოვებ იმ ადგილსა და იმ უცხო თემს,  
უკანასკნელად სად დალიე ნეტარი სული,  
შეუერთდები შენს წინაპართ წმინდა საფლავებს,  
რისთვისაც მარად წრფელის გრძნობით გიცემდა გული.

კლავ დაბრუნდები შენს საყვარელ საქართველოში,  
იმ დროს, როდესაც ტყე და ველი მწვანედ ბიბინებს,  
როს შენ საამოდ ყოვლის მხრიდან სტვენენ ფრინველნი,  
თუმცა, პოეტო, შენ ვერ ისმენ ამ სააჟო ხმებს!..

მაგრამ საკუთარ სიტკბობას შენ არ ნატრობდი,  
სხვის უნაწილოდ უარს ჰყოფდი კერძო სიამეს.  
თვით უძვირფასეს სიცოცხლესაც უარსა ჰყოფდი  
თუ საჭირო დროს ვერ არგებდი შენს თანამომძმეს.

მოხვალ დიდის ხნის დაკარგული შენს სამშობლოში,  
ივერთ ღვთის მშობლის წმინდა კალთა დაგეფარება,  
გულში ჩაგიკრავს იგი მიწა, სადაც შობილხარ  
და სამუდამოდ გეცხედრება, გესამარება.

დომინიკა ერისთავისა.

### ჩონგურს

შენნი მოთქმანი, კაეშნის ხმანი,  
ხანცა ოხვრანი, ხანცა ამოსკენანი,

წარსულთა დროთა მოგონებითა სულს აფიქრებენ!  
ჟი ჩონგურო, ნეტავი ოდეს  
ხმა მხიარული შენგან მსმენოდეს,  
რომ უკუმყოდეს მე სევდიანსა გულისა სენი!

მაგრამ სად ვნახო, შენი ღიმილი,  
სიხარულითა გამოჩენილი?

მე შენგან მესმის მოკლულის გულის ოდენ ჩივილი!


1837

ნ. ბარათაშვილი.



### ნ. ბარათაშვილი

გადმოღებული შ. თუშიაშვილის, ფანქრით ნახატ. სურათიდან  
მ. თოიძის მიერ.



მტკვრის პირად

ნახატი — მ. თოძისა

### დაჭრილი სული

ხან სუმბული მომტირალი და ჩუმი,  
ხან უდაბნოს მონავარდე სამუმი;  
ღრუბლიანში ელვა-ქექის მთხრობელი,  
ცივ ზამთარში გაზაფხულის მხმობელი,  
ცივ გულებთან მოსაუბრე სხივებით —  
წყნარ მთაწმიდის წყნარი საგალობელი...

აჩრდილების მეფე-მონა და შვილი —  
საყვარელი ჩემი ბარათაშვილი, —  
ვინც უდაბნოს მუდამ გულით ატარებს...  
შენ ამბობდი მიქანცულის თვალებით:  
„ამ წყვდადში მე სულს დავლევ წვალებით..  
აჩრდილებო, დავიდალე თქვენს შორის —  
აქ მთაწმიდას რაღა გამოადარებს!..“  
გ. ლეონიძე.

### ხმა იღუბალი

ვისი ხმა არის ეს საკვირველი?  
რად აქვს გულს ესე ჩემი ნაღველი?

რა ესცან პირველად წუთი სოველი,  
დავითე ადგილი, სადაცა წრფელი  
რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის  
სწორთა თანზრდილთა, მეგობართ შორის,

მას აქეთ ხმა რამ თან სდევს ყოველთა  
ჩემთა ზრახვათა და საწადელთა!  
ცხადად თუ სიზმრად, მე იგი მარად  
სულ ერთსა მიწრთენის გულისა ჭირად:

„ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი,  
ვინძლო იპოვნო შენი საშვენი!“  
მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვევ,  
და მით კაემანს ვერღა ვიშორებ!


ნუ თუ ხმა ესე არს ხმა დევნისა  
შეუწყალისა სინიდისისა?..  
მაგრამ მე ჩემში ვერ ვპოვევ ავსა,  
მის საშფოთველოს და საქენჯნავსა!

ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი,  
ან თუ ეშმაკი, მაცთური ჩემი,  
ვინცა ხარ, მარკვი, რას მომისწავებ,  
სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ?  
როს ესცნა მე შენი საიდუმლობა,  
როს მხედეს ამ სოფლად ჩემი წილობა?..  
ნ. ბარათაშვილი.



მ გ ო ს ა ნ ი

ნახატი ქავთარაძისა.



ძეგლი ნ. ბარათაშვილის ნეშტზე დიდუბეში  
გადაღებული ილია ქურხულის მიერ.

### ნ. ბარათაშვილის გადმოხსენებაზე

მამულის ჭირთა მომთქმელსა, „ქართლის დედისა“ მგოდებსა,  
სამშობლოს მწვავთა გრძნობათა, მგოსანსა აღმომწოდებსა,  
კაცთ სიცივთა გულმოკლულს, განკიდულს, შესაცოდებსა,  
აწ გხვდება მშობლის წიაღი, შეგიტკობს მკერდს ნაკოდებსა.  
„მერანზე“ მხედარს, წინ მებრძოლს, საგმირო გზისა „მთელელსა“.  
წარსულ მომავლის შემწონსა, აწმყოზე თვალამხელელსა,  
მიგოგავს ბედი სამშობლოს, ჭირნახულს, მიუშველელსა,  
მაგრამ უკვდავსა, უშლელსა, დიდებულს აღსატყვეველსა!  
მივიწყებულის სიმართლით გიწადს ქვეყანა მშობელი,—  
კრძალვით თაყვანს სცემს შენს ნეშტსა, ერი, შენთ სიმთა მძნობელი,  
შენთ კაეზნიანთ ჟღერათა ტკბილ წველ ხმად გამომხმობელი,  
შენის ჭირით და ლხინითა თავის თავისა მცნობელი.  
შენც, ვითა შენი ქვეყანა, საქვე-საკითხად მდებარე,  
სადღაც მივარდნილს ვერანსა მიწისა გულსა ებარე,  
აღსდევდი უკვდავებისა მადლის სხივითა მგზნებარე!  
აწ გეგებება სამშობლო თავის სხვის გამომგებარე.

ნ. დადიანი.

ნ. ბარათაშვილის ნეშტი განჯიდან თბილისს ჩამოსვენეს 25  
აპრილს. 1883 წ.



### სული ოგოლი

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,  
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას.  
საბრალოა მხოლოდ სული ობოლი:  
ძნელა ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!

მეგობართა, ნათესავთ მოკლებული,  
ისევ ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული;  
მაგრამ ერთხელ დაობლებული სული,  
მარად ითმენს უნუგეშობას კრული!

არღარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის!  
ეშინიან, იკრძაღვის, არღა იცის,  
ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,  
ფეიქრება ხელმეორედ მას ნდობა!

ძნელი არის მარტოობა სულისა:  
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,  
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,  
ოხვრა არის შვება უბედურისა!

1839. ნ. ბარათაშვილი.

### ჩემს ვარსკვლავს

რად მრისხანებ, ჩემის ბედის ვარსკვლავო?  
მაინც გეტრფი, თუმცა ხშირად მკლავო:  
შეეთვისა სული შენსა მოღრუბლვას,  
შეეჩვია გული სევდითა კრთოლვას!

ნუ გგონია ბედსა მით დამიმწარებ,  
რომ უარად ბუჭით ნისლს მოიფარებ;  
შენ არ იცი, რა სიამეს მომაგებ,  
როს მიბუჭტვით ნისლით გამო მონათებ.

რა სახითაც გინდა შენ მე შეჩვენო,  
მაინც გიცნობ, მშვენიერის ცის მთენო:  
ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,  
მაღხინებელ დაბინდულის გულისა!

მოციმციმდი, მოდი, გამომედარე,  
შენგან ბნელი გული გამომიდარე;  
კვლავ ციური ცეცხლი გარმოისარე,  
ნაპერწკალნი ეშხისა მომაყარე.

1837. ნ. ბარათაშვილი.

### შაჰოლაგაგა-მთაწმიდაგად.

ჟი მთაწმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი,  
დამაფიქვრელნი, ვერანანი და უდაბურნი,  
ვითარ შევნიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი,  
ოდეს საღამოს, დაშთენ ამოს, ციაგნი ნელნი!

ვითარი მაშინ იღუმალობა დაისადგურებს შენს არემარეს!  
რა სანახავი წარუტყვევებს თვალთა მაშინ შენს ტურფას-სერზედ მდგომარეს!  
ძირს გაშლილს, ლამაზს, ველსა ყვავილნი მოჰტენენ, ვითა ტაბლას წმიდასა,  
და ვით გუნდრუქსა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ სუნნელებასა!

მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,  
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი,  
და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,  
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!

ოჰ, ვით ყოველი ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი, მინაზებული!  
ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეულ-!  
აწცა რა თვალნი ლაქვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან!  
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!

მე შენსა მჭვრეტელს მაგიწყდების საწუთრობა!  
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს საღვურს,  
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამოება...  
მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს!

დაფიქრებული ვიდევ სერზედა, და ცათა მიმართ მზირალს ტრფობითა  
შემომერტყმოდა მაისის მწუხრი, აღმსები ნაპრალოთ მდუმარებთა;  
ხანდისხან ნელად მქროლნი ნიაენი ღელეთა შორის აღმოკვენსოდენ  
და ზოგჯერ ჩუმნი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ!

მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,  
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება  
არა იპოვნოს და არ დახსნას გულსა ვაება,  
გულ-დახურულთა მეგობარო, მთავ ღურბლიანო!

სდუმდა ყოველი მუნ არემარე; ბინდი გადევრა ცისა კამარას.  
მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისა ამარას;  
გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცებული?  
მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოვარე, დისკო გადახრით შუქ-მიბინდული!

ამგვარი იყო მთაწმიდაზედ შემოღამება!  
ჟი ადგილნი, მახსოვს, მახსოვს, რასაც ვფიქრობდი  
მე თქვენთა შორის და ან რასაც აღმოვიტყაოდი!  
მხოლოდ გული ჰგრძნობს, თუ ვითარი სძღვნიით მას შვება!

ჟი საღამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად!  
როს მკმუნვარება შემომესვვის, შენდა მოვილტვი განსაქარვებლად!  
მწუხრი გულისა—სევდა გულისა—ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს  
რომ გათინდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!

1836. ნ. ბარათაშვილი.